



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №80

2017 წლის 25 დეკემბერი

ქ. ბათუმი

სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს „სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის ხელშეწყობის პროგრამა“ დანართი №1 შესაბამისად.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
3. განკარგულება ძალაშია „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №36 დადგენილების ამოქმედებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნადიმ ვარშანიძე